საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2570-03
06/12/2021

სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ რიგგარეშე მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საამართლის სკოლაში განაცხადის შემოტანის, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების, ხელშეკრულების გაფორმების ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-5^2 მუხლის საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 ნოემბრის MES 3 21 0001.1/105 ბრძანების, სამართლის სკოლის დეკანის, ირაკლი ფორჩხიძის 2021 წლის 6 დეკემბრის N14150-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. სსიპ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში რიგგარეშე მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ სტუდენტთათვის განაცხადის შემოტანის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 8 დეკემბერი;
2. პირველი პუნქტით განსაზღვრული განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგ ელ. ფოსტაზე: lawfaculty@iliauni.edu.ge. განაცხადს თან უნდა ჰქონდეს დართული ქვემოთ მითითებული დოკუმენტები:

ა)ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;
ბ)სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);
გ)ცნობა გაცემული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 2021 წლის 1 ნოემბრის შემდეგ (სტუდენტის სტატუსის, სასწავლო პროგრამის დასახელების, და მის მიმართ გამოცემული სამართლებრივი აქტების მითითებით);
დ)სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);
ე)პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
ვ)სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი- ატესტატი.
ზ) უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;
თ) ფოტოსურათი 3X4 ელ. ვერსია

3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ბეჭდით;
4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე გადმომსვლელ სტუდენტთათვის განისაზღვროს 5 ვაკანტური ადგილი. 5-ზე მეტი განაცხადის მიღების შემთხვევაში, რიგგარეშე მობილობის საშუალება ექნება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების გათვალისწინებით რეიტინგით პირველ 5 კანდიდატს.

5. რიგგარეშე მობილობის შესახებ განცხადებების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების მომზადების ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 9 დეკემბერი;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველ პირებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (ინგლისური ენის გამოცდა; წერითი გამოცდა - კაზუსი) ჩაუტარდეთ 2021 წლის 10 დეკემბერს, მის.: ი.ჭავჭავაძის გამზ. N32, კორპ. A, ოთახი 405;

7. დაევალოს სამართლის სკოლას, არაუგვიანეს 2021 წლის 11 დეკემბრის ჩათვლით გააფორმოს ხელშეკრულება იმ პირებთან, რომლებიც მოიპოვებენ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის უფლებას და მიაწოდოს უნივერსიტეტის რექტორს ზემოთ აღნიშნულ პირთა სია;

8. ხელშეკრულების გაფორმებისას პირმა, რომელიც მოიპოვებს რიგგარეშე მობილობის უფლებას ილიასა სახელმწიფო უნივერსიტეტში, უნდა წარმოადგინოს ელ-ფოსტით გამოგზავნილი ყველა დოკუმენტის დედანი და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი

9. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენის მიზნით არაუგვიანეს 2021 წლის 13 დეკემბრისა;

10. ბრძანების პროექტზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ, დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება 2021 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით;

11. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს, რიგგარეშე მობილობის წესით პირთა ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის ცენტრში წარსადგენად მომზადება ამ აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

12. პირები, რომლებიც მოიპოვებენ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის უფლებას სწავლას შეუდგებიან 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან;

13. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება;

14. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

15. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამართლის სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი